

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მწიგნობართვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редак-
цію „Дროება“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 ჰ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 ჰ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 ჰ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორჯაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სურვიონზე რვა კაპ; გან-
ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებ-
შიც.
თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია განსწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდავ გამოცემას წერილებს
დაუბეჭდავ წერილებს შეაქვს და დაუბეჭდავ
ბეჭდოს.
Объявления въ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ денг. которы
объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს
„დროებაზედ“
1885 წლისათვის
თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს
ტომასვილითან; გორში — აბალო თუთავეთან.
დაწვრილებათ პირობები გაზეთის სათაურშია.

ქართული თეატრი
დღეს, ნოემბრის 30-ს
ქართულის დრამატული დასის აქტის-
ტკების და აქტისტების მონაწილეობით
წამოადგენილი იქნება:
I
ბიძიასთან გამოსვრება
ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმ.
II
პირველი მოქმედება კომედიადამ:
ხ ა ნ შ მ ა
III
მეორე მოქმედება კომედიადამ:
შოზაფ, პარიჟელი გიჟი
IV
მესამე მოქმედება დრამადამ:
ა რ ც ე ნ ა
V
ლივერისმანტი

ხელი, დ. დავითაშვილი; ა. ჩუბი-
ნიძე და სხვ.
ადგილების ფასი მომატებულია.
დასაწყისი 7 1/2 საათზე.
ბილეთები იყიდება რიშარის მალა-
ზიაში, ოლქის სასამართ. ქვეშ, და წარ-
მოადგენის დღეს თეატრის კასაში.
THEATRE GEORGIEN
(ci-devant Arzrouni)
Vendredi, 30 novembre,
Représentation extraordinaire
donnée par tous les artistes de la
TROUPE GEORGIENNE.
On peut se procurer des billets pour
cette représentation chez M. Richard,
Golovinsky prospect.

მართი კვირა უცხოეთში
თბილისი, ნოემბრის 30-ს.
ამ ჟამად ბერმანის პარლამენტი
წარმოდგენს იმისთანა ასპარეზს, რო-
მელზედაც ერთი კაცი, ძლიერის ჭკუ-
თა და მოხერხებით ბუნებისაგან და-
ჯილდოებული ებრძვის რამდენიმე
ერთად თავმოყრილს დასს. ეს დასი
ჩვეულებრივ ერთმანეთს წინააღმდეგ

მოქმედებენ, მაგრამ როდესაც ძლიერი
მოპირდაპირესთან ბრძოლა საჭიროა,
მაშინ იფიქრებენ ყოველსავე ცილობა-
სა და შურის და შეერთებულის და-
ლით იმის ფეხ-ქვეშ ნიადაგის გამოც-
ლასა ცდილობენ.
მართალია, ბისმარკს ასიოდე მო-
მხრე ჰყავს პარლამენტში, მაგრამ ესე-
ნი არად ჩაითვლებიან თვის უნიკოფ-
ბის გამო იმისთანა მებრძოლებთან,
როგორც არის კლერიკალების მო-
თავე მინდპორსტი, როგორიც არიან
მოთავენი პროგრესისტებისა, ანუ ენ-
ლანდელ სახელ-წოდებისამებრ, თა-
ვისუფალ მოაზრეთა, რიტორი და
მირხოვი, ანუ გამხადებული სოცია-
ლისტები, რომელთა რიცხვმა უკანას-
კნელ ამორჩევების დროს ერთიორად
იმატა. მსენი ყველანი იფიქრებენ ხოლ-
მე ერთმანეთში უთანხმოებას, როდეს-
საც კი ბისმარკზედ გაილაშქრებენ და
აი, ამ კოალიციამ ზედი-ზედ დაა-
მტკიცა იმისთანა კანონები, რომელ-
ნიც ბისმარკს მოხუცების დროს სია-
მით არ გაატარებინებენ.
ამ კვირის განმავლობაში პარლა-
მენტმა ორჯერ აწყენინა ამ ძლიერ
კაცს და აწყენინა ისე, რომ გამოჩე-
ნელმა კანცლერმა დაიფიქრა თავისი
ტაქტი და თავდაპირილობა და ისეთის
სიტყვით მიმართა პარლამენტს, რო-
მელსაც, ინგლისურის განუთის „შა-
იმისსა აზრით, არც ერთი პარლამენ-
ტი არ მოითმენდა ბისმარკი დააპ-
რაკობდა პარლამენტში, მაგრამ ყო-
ველ იმის სიტყვაში აშკარად გამოი-
ხატებოდა სიმძულვარე ამავე პარლა-
მენტისადმი და მუქარა ისე მოქმე-
და, როგორც სახელმწიფოს ინტერესი

მოითხოვს, ესე იგი, როგორც თვით
ბისმარკი მოიწადინებს. მან ამ სიტყ-
ვის დროს აინადა პირბადე, თუ კი
როდისმე ჩამოფარებული ჰქონდა, და
აუხსნა პარლამენტს, რას ნიშნავს პარ-
ლამენტი, ან ის უმეტესობა, რომე-
ლიც კანონებსა სდებს. იმის სიტყვებს
რომ კაცმა ყური დაუგდოს, ეს უმე-
ტესობა არაფერს არა ნიშნავს, რო-
დესაც კი იგი ბისმარკს წინააღმდეგო-
ბას უწყევს. მე არ მივცემ ნებას
არცერთს უმეტესობას იბატონოს ჩემ-
ზე, თუნდ ეს უმეტესობა მეოპის
უმეტესობა იყოს! წამოიძახა თა-
ვანმა ბისმარკმა და აშკარად ომი გა-
მოუცხადა საპარლამენტო წესწყობი-
ლებას.
დიდად საგულისხმეოა, თუ რო-
გორ გათავდება ეს ომი, მაგრამ ჯერ
ჯერობით გამარჯვებული პარლამენ-
ტის უმეტესობა გამოდის. მართალია,
სიტყვით ბისმარკი სჯობნის, მართა-
ლია ამ ბოლოს დროს უხვი მჭევრ-
მეტყველობა გამოიჩინა და თითქმის
დღე ისე არ გავა, რომ პირიბამ ცუ-
ცხლები არ დაჰყაროს და კეცნამუ-
დართ აშუშუნებული სიტყვები არ
წარმოესტკვას, მაგრამ ამ მჭევრ-მეტყვე-
ლობასაც ვერა უქნია-რა და საქმით
გამარჯვება მის მოწინააღმდეგეთ და-
ჩენიათ.
ორი პროექტი, რომელნიც ამ დღეებ-
ში დაუმტყციებია პარლამენტს არამც
თუ ბისმარკის ნება-დაურთველად,
პირდაპირ მის წინააღმდეგაც, შემდეგ-
ნი არიან; პირველი, ყველა დეპუტა-
ტებს რეისტაგისას ჯამაგირები დაე-
ნიშნებათ და არავის არა აქვს უფლე-
ბა ამ ჯამაგირებზედ უარი სთქვას და

„დროების“ ჭეღვტონი, ნოემ. 30-ს
უცხოელის აზრი
„ვეფხისტყაოსნისა“
პოემის გადათარგმნის გამო
ჭრანკუზულს ენაზე.
ზადათარგმნა თანამედროვე მეო-
პიულს ენაზე იმ გვარის პოემისა, რო-
მელიც ვეფხისტყაოსნისა ლი-
ტერატურას, მიიმესა და ძნელად გა-
საბედს საქმეს. შეადგენს და ამიტომ
ღირსია საზოგადოების სრულის ყუ-
რადღებისა. ამ გვარი ღვაწლი მოას-
წავებს, რომ ჯეროვნს პატივსა სცე-
მენ იმ ლიტერატურულ ქმნილებათა,
რომელნიც ღიღებულს და სიამაყეს შე-
ადგენენ რომელიმე ხალხისას და ამავე
დროს სასარგებლონიც არიან თვით
საკაცობრივო მეცნიერებისათვისაც.

ჩვენს დროში, როცა საკაცობრივო
კლდის ყოველი შტოა ერცვლებს
მოედანს თავის გამოკვლევათვის,
ლიტერატურის შესწავლაც თავს ანე-
ბებს ვიწროდ შემოზარგულულს წრეს,
რომელშიაც იგი იყო ჩაფარდნილი რუ-
ტინიზმებისა და პედანტების წყალო-
ბით, რომელთა ღრმა ნაკითხობა და
ერუდიცია ის იყო, რომ მხოლოდ სამ-
შობლო ქვეყნის კლასიკები, ბერძენთა
და რომაელთა მწერლები ჰქონდა შეს-
წავილი. ღღეს ისინი, ვინც ლიტერა-
ტურის შესწავლას მისდევნენ, ცდილო-
ბენ თავიანთ შედარებითისა და კრიტი-
კულის გამოკვლევების საგნად გაიხა-
დონ ყოველგვარი ნაჭირნახულევი
კაცის გონებისა ყველა ქვეყნებსა და
ყველა საუკუნოებში. დაბადება, ტალ-
მული, ინდოეთის ვედები, ლიტერა-
ტურანი — რომაელებისა, გერმანე-
ლებისა, სლავიანებისა და სკანდინავე-
ლებისა: ყოველი სასწავლონი წერი-
ლობითის და ზეპირის ლიტერატურისა
ერთგვარად საყურადღებონი შეიქმნენ

კეთილ-სენიდიისერის გამოკვლევებ
ლისათვის.
შეველია, მაშასადამე, რომ ერუ-
დიციას დიდ სამსახურს უწყვენ, რო-
ცა მას აძლევენ შემთხვევას ჩაიხედოს
ისეთს ლიტერატურაში, რომლის არ-
სებობაც კი ძალიან ნაკლებ იცოდენ
და რომელიც, ერის აზრით, მისი
ეროვნული გენის გამოხატველია.
ამ მხრით უნდა უტკიროს სა-
განს მკითხველმა როდესაც აუხსნებს
„მეფხისტყაოსნის“ თარგმანს ფრან-
კულს ენაზედ ბ-ნ მეუნარგისაგან.
ჯერ ვიდრე მკითხველი წარმოსთქვა-
დეს თავის განაჩენს რუსთაველის პოე-
მის შინაგანს დირებაზე, მან უნდა
მოისაზროს, როგორ უყურებს თვით
ერი ამ პოემას, დიდა ის პატივის-
ცემა, რომლითაც მას ეკიდება, რა
გვარია ის გავლენა, რომელიც უწარ-
მოვებია ერზე თავის დროს, იმიტომ
რომ, როცა ამ გვარად ყოველის მხრით
შეისწავლის კაცი იმ ვითარებასა, რა
ვითარებაშია გაჩნდა პოემა, მხოლოდ

მაშინ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რა
აღვლილი უნდა ექიროს მას სხვა პოე-
ტურ ქმნილებათა შორის. ამიტომ
საჭიროა ვიცოდეთ — როგორც მო-
გვითხრობს მთარგმნელის წინა სიტყვა-
ობა — რომ შოთა რუსთაველი სალო-
ცავადა ჰყავთ დასვენებული იმათ,
ვინც იმის ენაზე ლაპარაკობენ და
ვინც დაეწვიენ მის ლექსების მღერას;
რომ პატივი და თაყვანისცემა, რო-
მელსაც გრძობს ერი პოემის ავტო-
რის სახელის წარმოთქმის დროს, სრუ-
ლიად ნაკლები არ არის იმ გაღმერ-
თებაზე, როგორც აღმერთებენ თა-
ვიანთ უკვდავს პოეტებს სხვა ერნი;
რომ იმის პოემაში გამოთქმული
აზრნი დიდი ხანია ხალხის ენაში
ტრიალობენ და ანდაზებად გადაიქცე-
ნენ; რომ სოფლებსა და ქალაქებში
ლექსნი პოეტისა ყველგან იმეორებინ;
რომ მოხუცებული დედაკაცები წარ-
მოსთქვამენ მათ იმავე მოწიწებით, რა
მოწიწებითაც ამობენ ლოცვებს, და
რომ, არ არის, იქნებ, სრულიად სა-

ეს წერილი, შედგენილი ფრანკუზულად
ბარონის სუტნერისაგან, დაბეჭდილი იყო „პე-
კაზის“ მე-266 №-ში.

მეორე, გაუქმდება ის კანონი, რომლის ძალითაც სასულიერო პირნი სახელმწიფოადმ განიღვებოდნენ, თუ იმოქმედებდნენ წინააღმდეგ კანონისა. მართი კანონი და მეორეც ბისმარკს, უწყველია, თვალში ჩხირად ჩაუჯდებოდა. პირველი კანონი ამომჩივლებს მისცემს საშუალებას დებუტატები მათის ღირსებისამებრ ამოიჩხირონ შეუძლებელთა შორისაც და არა მარტო ისინი, რომელნიც განცხრომით ცხოვრობას შეჩვეულნი არიან და ყოველივე ცელილება თავიანთთვის უბედურებად მიიჩნიათ. მეორე კანონი კი უარყოფა ბისმარკის ნაქები პოლიტიკისა, რომლის ძალითაც მას უნდა დადარიხილება კლერიკალებისა, ესე იგი იმ პარტიისა, რომელიც ამჟამად განკრძობულს, უძლიერესს პარტიას შეადგენს მთელს პარლამენტში.

სამაგიეროდ გარემო პოლიტიკაში, როგორც ყოველთვის, ბისმარკის საქმე კარგად მიდის. იგი კლიობს თითქმის გაუნახვეროს გაეღწეა აქტივად ინგლისს, იღებს მის მფარველობის ქვეშ ზანზიბარის სამეფოს აქტივის აღმოსავლეთის ნაპირზედ და რუმ-რუმად ემზადება საომარ იარაღითა და სურსათით ტრანსვალელ ზოვრებს აქტივის სამხრეთით ინგლისისადმი წინააღმდეგობის განაწყევად. ამასთანავე შექმნეს პროექტი პარლამენტში იმას შესახებ, რომ გერმანიამ საკუთრად გაიმართოს ფრანკის ცეცხლის გემები ოკეანს იქით, ავსტრალიისკენ საფლელად, რათა სამ გზითაც გერმანიამ შესაფერი გაეღწეა შიშობოს. შექმნეს პროექტი ამჟამად სინჯვენ პარლამენტში და მოსალოდნელია, რომ ამ სესიასაც იგი უარყოფილ იქმნას ფულის უქონელობის გამო, როგორც უარყოფილი ქმნა წარსულ სესიაში, თუმცა ბისმარკი მას დიდს მნიშვნელობას აწერს დასრუ-

ლს თავის ძალ-ღონეს ახმარებს ცდას მის დამტკიცებისათვის.

წარსულ მიმოხილვაში ჩვენ ვთქვით, რომ შეიძლება საფრანგეთის პალატისაგან სენატორების არჩენის წესის მიღებამ სამინისტროს წინააღმდეგ ამ სამინისტროს გადადგომა გამოიწვიოს. ჯერ-ჯერობით საქმე აქამდის არ მისულა, თუმცა ჭერის მუქარა კი გამოუცხადებია სამსახურიად გამოსვლისა, თუ პალატა არ უარყოფს თავის გადაწყვეტილებას. ტელეგრაფმა მოვითხროს ამბავი, რომ პალატის შემთხვევითად ამ მუქარისა, უარყოფის საკუთარი განაჩენი და ეს პროექტი ისე მიულა, როგორც შეუწყლია სენატს. ჯერ დაწერილებით არ ვიცით, როგორია სენატის ცელილება, მაგრამ ეს კი გვეთქმის, რომ ეტყობა ჯერ კიდევ პალატა ძვირად აფასებს ჭერის, რომ თავის გარდაწყვეტილებას ორი დღის წინაღობას, მესამე დღეს თვითვე უარყოფს, ოღონდ თავის სასურველი მინისტრი მმართველობას არ მოაშოროს. მაგრამ რაკი ასე მუქარაზედ მივარდნილა საქმე, ძნელად მოსალოდნელია, რომ პალატამ სხვა სამინისტროს არ დაუწყოს ძებნა, მით უფრო რომ ჩინეთში საქმეები ძალიან კარგად ვერ მიდიან. წესიერ ბრძოლაში თითქმის ყოველთვის საფრანგეთი სჯობის, მაგრამ როგორც ვარს, ისე ყველა ჩინეთში დასახლებულ ევროპელებს მეტის-მეტად ავნებთ ესეთი გამოურკვეველი მდგომარეობა, რადგან ჩინელები არაფითარს მიმინჯარებას არა ჰშიზლობენ და მათი უფროსნი დაშლის მაგიერად, კიდევაც აქვებენ. ისე ვაზეთს არ აიღებთ ხელში, რომ არ ნაამბობი იყოს რომელიმე საზიზღარი მოქმედება ჩინელებისა ევროპელების წინააღმდეგ.

ბი, რა ამბავი მომხდარა, სხვათა შორის, ქალაქს მენ-ჯეუში. ეს ქალაქი თურმე შუაგული ქალაქია მხოლოდ გენიოსებს ანიჭებს. ამის შემდეგ ყველა თავისუფალია და შეუძლიან თავისი კერძო აზრი იქონიოს იმ ურთიერთობაზე, რომელიც პოეტურს ქმნილებასა და მის გარემო შემდგომეულს დიდებას შორისა ჰსუფევს და ან სხვებსავით აღტაცებული იყოს მისით, ან არ თანაუგრძობდეს სხვების გატაცებას; ეს გატაცება ყველასაგან იქმნება იგი გაზიარებული, თუ არა, თავის თავად უწყველი ნიშანი და ავტორის გენიოსობის მომასწავებელი გარემოებაა. როგორც უნდა იყოს ლიტერატურული ქმნილება, რაკი მან დაიმსახურა ისეთი სახელი, როგორც რუსთაველის პოემამ იგი ღირსია მსწავლეულთა ყურადღებისა, რომელიც გარემო ლიტერატურის ძიებასა და გამოკვლევაში კმაყოფილებას კი არ ეძებენ, კმაყოფილებას, ლიტერატურული გულის-თქმით გამოწვეულს, არამედ მხოლოდ ერთის მეცნიერულის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას.

პიკური ქართული პოემა, დაწე-

ქრისტიან მისიონერებისა. მეტადსტების ეკლესიის წინ შეყრილა ჯერ გროვა ჩინელებისა, განსაკუთრებით ბანგის — მწვევლებისა. ჯერ უნდაღათ თურმე ღოცვა დაეშალათ ქრისტიანთათვის ხმაურ-თბობა და ქვის სროლით. მაგრამ, ბოლოს ამხანაგების მოშველებით წაქვებულიყვნენ და შეცვივნულიყვნენ ეკლესიაში მლოცველების ამოსახოცად. ამათ მოესწოთ მეორე კარებიდამ გაქცევა. მაშინ ჩინელები მოსდებოდნენ ყველა სალოცავებს, და ქრისტიანთა სახლებს, მაგრამ ევროპელები ვერსად ებოვათ, რადგან უკანასკნელნი გადახდარიყვნენ ქალაქის ზღუდვებზე, გაქცეულიყვნენ ზღვის ნაპირისკენ, აეშვათ ჩინელების ნაგები და მისულიყვნენ ახლო მდებარე კუნძულად, რომელზედაც თურმე ინგლისის კონსული დგას. ჩინელებს ვერ მიესწოთ მათთვის ნაპირზედ და რაკი ნაგებიც არა ჰქონდათ გამოსადგომად შემდეგის მხეტარის საშუალებით ამოეყარათ თავიანთ გულის ჯაფრი. შეეკრათ ერთის ინგლისელის ძაღლები და ნელს ცეცხლზედ ცოცხლიე დაეწათ.

ქრისტელები ჰხედავენ რომ ამ გვარ ხალხთან ბრძოლა არაფრად სახალი-სოა, მაგრამ ესლა უკან დაწევა გვიან-ლა არის და ნება-უნებურად საფრანგეთის პარლამენტი კრედიტს კრედიტზე უხსნის მთავრობას ამ დაუსრულებელი ბრძოლის გაგრძელებისათვის.

On peut se procurer chez M. H. Colowinsky

შინაური პრონისა

ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს ის ქართული წარმოდგენები, რომელნიც გამართულნი იყვნენ არქეოლოგიური კრების დროს და გამოჩენილი ღრამატურის მსტროვების მისაგებებლად. მრნივე შეადგენდნენ დღესასწაულს ჩვენის თეატრისათვის და არც ერთი მათგანი ჯერ მესხიერე-რილი მე-XII საუკუნეში, დიდს მეფის შამარის საქურტლეთ-უხუცესისაგან! მრუდიცია თართოლას დაიწყობს სიხარულით... როგორ! — შექვირებენ ბბ. მსწავლეულნი, როცა ეს თარგმანი ჩაუფარდება მათ ხელში, — როგორ! ჩვენგან მომორებულ ქვეყანაში, დროსა, აწ დიდის ხნით გამქალს, არსებობდა ბრწყინვალე სამეფო კარი და უმდიდრესი ენა, არსებობდა აკადემია, რომელშიაც სწავლობდნენ ყმაწვილნი კანნი და რომელიდამაც უუნიკიერესთ ჰგზავნიდნენ ათინაში განათლების დასამთავრებლად, და მათ შორის აღმოჩნდა ერთი, რომელმაც, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ერთის სპარსულის თქმულებისაგან შექმნა 1500 ტავიანი პოემა, რომლის წყალობით იგი ღირსი შეიქმნა ქვეყნის უფუდიდესის თავყანის ცემისა, — ეს პოემა არსებობს და ჩვენ კი ესლა პირველად გვემის იმის არსებობა!

იქნება მკითხველს მართლა პირველად ესმის ბრწყინვალე ქართული

ბილამ არ ამოგეშლია. ეს წარმოდგენების მზავებს შიშობის არსებულ ქრანცუზების საქველმოქმედო კომიტეტისათვის დღესაც მართავს ჩვენი სათეატრო დასი. მართალია, დღეს მაშინდებურად მეცნიერებისა და ღრამატურების მესვეურნი არ დაესწო-ბიან, მაგრამ სამაგიეროდ იქ იქმნებიან რამდენიმე უცხოელი ლიტერატორები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა და მისი ზნე-ჩვეულება შესასწავლ საგნად გაუხდიათ; იქ იქნება მთელი აქაური ქრანცუზების კოლონია; იქნებიან თითქმის ყველა წარმომადგენელი მეროპის სხვა-და-სხვა ქვეყნებისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო და დახელოვებული არტისტები, რომელნიც ან, თვით დასაში ითვლებიან ან შემთხვევით ამჟამად შიშობის იმყოფებიან. სახელი საფაროვის ქალისა, ბაზუნასი, პ. შიფიანისა, მ. პლეკსევი — მესხიეისა, აწყურელისა იმედს გვაძლევს, რომ დღევანდელი წარმოდგენა ღირსეულად იქნება გამართული. პიესებიც იმ გვარებია არჩეული, რომ თითქმის ყველა საუკეთესო არტისტების ნიჭს შესაფერი ასპარეზი აქვს გადაშლილი და მათზედ იქნება დამოკიდებული, თუ რა აზრს შეადგენენ ჩვენი სტუმრები სასცენო ხელოვნების განვითარებაზედ საქართველოში.

სუბუმიდამ შემდეგი ცნობა მივიღეთ. „საიმპერატორო არქეოლოგიურის საზოგადოების“ წევრს მამა არქიმანდრიტს ლეონიდს განუძრახავს აუხაზეთის ისტორიის შედგენა და ამ აზრით ბლომად აგროვებს ძველის მონასტრების და შესანიშნავი მენობების ჭოტოგრაფიულს სურათებს. მს ერთი თვეა, რაც ჭოტოგრაფი დაიარება აუხაზეთის სოფლებში. მას დაჰყვება გამოცდილი და ამ ქვეყნის ვითარების მცოდნე ბერი მამა ინოპოვნიის არსებობა, მაგრამ უნდა კი ესთქვათ, რომ არას-გზით ეს გაგონება უკანასკნელი გაგონება არ იქნება. რაღაც განახლების ნიავმა დაჰბერა საქართველოს გონებრივ ცხოვრებას. მთელი ჯგუფი ახალ-გაზდა მწერალოთა, რომელთაგანაც უმეტესმა ნაწილმა თავისი განათლება მეროპაში მიიღო, აღზრდილია რუსულისა, ნემეცურისა, ქრანცუზულისა და ინგლისურის წიგნებით და, ფრთა-მესხიუ-ლი თვით უუკეთილეს მისწრაფებათა მიერ, თავის საზრუნავ საგნად აღიარებს წინსვლას კაცობრიობის გონებისას, სთარგმნის თავის ენაზე უცხო ლიტერატურის თვით უუკეთესს ქმნილებათა, არდგენს თავის სცენაზე შექმნილსა და მოლიერსა, აფუძნებს დრო-გამოშვებით გამოცემათა, რომლებშიაც ხელოვნებისა და მეცნიერების საგნები განიხილებიან და შემუშავდებიან უახლეს აღმოჩენათა მიხედვითა და შესაბამად; ამით არა კმაყოფილდება ეს ჯგუფი და იმევე დროს ჰბეჭდას ორი-გინალოურს ქმნილებათაც — კომედიებს,

კენტი სიმონ ძანანელის მონასტრი-სა.

ამ ორი-სამი დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ ხონის საოსტატო სემინარიაში უწყობა მომხდარა. ღვთისმშობელს, რომ წესი ისე აღდგენილა ამ სასწავლებელში, გამოირჩეული შეგორდები ისე მიუღია მზრუნველს, რომ მელიც განგებ ამ საქმის გამოსაძიებლად ყოფილა იქ და ამ სახით სასწავლებელს ჩვეულებრივი მსვლელობა კვლავ დაუწყავია.

ჩვენ გეტხოვრებთ მუთაისიდან მივსცეთ ადგილი ჩვენს გაზეთში შემდეგს წერილს: „სათალიკეთა სამრევლოში კიდევ არეულობა მოხდა. სინდრებმა შეიტანეს დათხოვნის ქალღმერთი; რაღაც უკმაყოფილება მოსვლიათ პატრთან. ამ კვირა-დღეს პატრმა გამოაცხადა ეკლესიაში ეს გარემოება და მოიწვია მრევლი კრებაზე ახალ ძმთა-უფროსების ასარჩევად. მაგრამ კრებაზე ერთი კაცი არ მოვიდა წამალდაც და კრება გადიდა. ამან დააბნა დიდნი უკმაყოფილება ამას გარდა პატრმა თავისით სკოლის კომიტეტის წევრად დანიშნა პოლშელი, რომელმაც არც ქართული ენა იცის და რომელსაც არც ჩვენი მოთხოვნებიანი ვამის. ეს კაცი მსახურობს ერთს მუთაისის ადმინისტრაციულ დაწესებულებაში; მწერალი იყო და ეხლა, გვონებ, „სტოლ-ნაჩალნიკის“ თანამშრომელი. მანა ჩვენში ცოტა იყენებ ნასწავლნი ახალგაზდანი... არ ვიცით — როდის მოვიღება ბოლო ამ არეულ-დარეულობას სათალიკეთა სამრევლოში. სასურველია, რომ მღვდელ-მთავარმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.“

მხელად დასაჯებელს ამბავს სწორენ გაზეთს „იურიდ. მობაზრე-მოთხოვნებს, ლექსებს, რომელთა შინაარსი ამოღებულია მათის სამშობლოს ყოფა-ცხოვრებიდან. ამ ახალგაზდათა წრეში დაიბადა, სხვათა შორის, ის აზრიც, რომ მიქცეულ ექმნას ყურადღება ენისა და ეროვნულის პოეზიის ისტორიულს განვითარებას; მან მოინდომა შესწავლა და შეგნება წარსულისა, რომელიც ცხოველს-ყოფელს დასაბამს აძლევს თანამედროვე ეროვნულს ლიტერატურას. აი, რისთვისა შრომობენ იგინი თავიანთის ლიტერატურის ისტორიის შედგენისათვის, თავიანთ პოეტების ნაწერების დაბეჭდვისათვის და ცდილობენ მიიშველონ თავიანთ მუშაობაში უცხოელნი მსწავლულნი და მეცნიერნიც. აი, რისთვის შეიქმნა „მეფუნის-ტყალ-სანი“ ამ რამდენიმე ხნის შემდეგ საგნად ეტიუდებისა, ლექსებისა, ცხოველის სურათებისა, გადაკეთებათა და თარგმანთა. ამავე გატაცებამ მოასურებია ერთს ქართველს საკმაო ფულის შეწირვა რუსთაველის პოემის მდიდრულად დაბეჭდვისათვის, რომ-

ნიეს, დ. ახალ-სენაკიდან იმის შესახებ, რომ იქ აგერ 20 დღეა, რაც მომრიგებელი სასამართლო დაკეტილია. ხალხი განცვიფრებულია: ნუ თუ ისეთი ბედი მხოლოდ ახალ-სენაკის მომრიგებელს სასამართლოსა ხელდა. ამას გარდა გამოძიებელს არ ამწესებენ სენაკში, და თუმცა მომრიგებელი მოსამართლე გეყავს, მაგრამ საქმეებს არ არჩევს თავის ცოლის ავად-მყოფობის გამო. მომჩივარნი მოდიან, უტლიან, უტლიან, და ცდით რომ ილაღებინ, ისე უკან ბრუნდებიან... .

მ. რ. მ. დ. სიტყვა მუთაისის სათალიკეთა-სამრევლო ბანკის შესახებ.

მინ არ იცის, რომ ჩვენი სათავადაზნაურო ბანკის საქმე დღეიდგან დაარსებისა მიდის უთავბოლოდ და უკანასკნელად, თითქმის ორი წელი გადის, მოსაზობილი აქვს სესხის გაცემა. საზოგადოების ერთი ნაწილი ბანკის ამ გვარ მდგომარეობას აქამდის აბრალებდა ბ. ლობაზერიძეს და ამ უკანასკნელ ღრმდის, მინამ მ. ლობაზერიძე დასტოვებდა ბანკის მმართველის ალღას, ზოგიერთ გაზეთებს და მათ თანამშრომლებს სალაპარაკოდ მხოლოდ მისი პირადობა ჰქონდათ და მისი ხსენების მეტი, რასაკვირველია, ცუდის მხრით, არა ახსოვდათ. — მათ სურვილს დანატვრას შეადგენდა მხოლოდ ლობაზერიძის ტახტიდგან ჩამოგდება და მის მაგიერ პატრიარქისა და საქმის მცოდნეს (!) აღმორჩევა. ბრძანებდნენ ხოლმე: თუ კი ღმერთმა გვართოსა ლობაზერიძის გამოცემა, აბა, მერმე ნახეთ, როგორ კარგად წავიდეს ჩვენი ბანკის საქმე; ამასთანავე ერთ და უმთავრესს მიზნად ბანკის რაზრავის შეჩერებისა ზოგიერთებს მოჰყავდათ ისიც, რომ ვითომცა ჭინანსთ მინისტრს არ მოსწონებო-

ლისათვისაც უნდა დახატულ იქმნას სურათები გამოჩენილის რუისის მხატვარისაგან; ამავე გატაცებამ მოაკიდებინა ხელი ბ. მეუნარგის პოემის თარგმნისათვის, რათა წარუდგინოს იგი ევროპიელს მკითხველს. იმის კალმადამ პოემა რუსთაველისა პირველად გამოვა სრულიად სიტყვა-სიტყვითი გადათარგმნით. თვით მთარგმნელი, როგორც ესა სხანს პოემის წინასიტყვაობიდან, არა ჰფარავს იმ სიძნელეს, რომელსაც უნდა მორგენოდა თავის სურვილის შესასრულებლად და პირდაპირ ამბობს, — რაც მე ვიკისრე, იმ საგანს და მის შესრულების მოკის დიდი მანძილი არსებობსო. ეს თავდაბლობა მთარგმნელისა პატივსაცემია და ამტკიცებს, რათა ეყვანის ცემით, რა მოწიწებით ექცევა იგი იმ ნაწარმოებს, რომლის თარგმნის და ახსნა უკისრია. მართლთაა, ენის უცოდნარობის გამო, ჩემთვის ძნელია აზრი შევადგინო თარგმანის სისწორეზე; მაგრამ არც ერთს წამსაც არ ვეჭობ, რომ ავტორი ტა-

დეს, ან და უკედ რომ ესტეკათ, სიტყვებოდეს ნ. ლობაზერიძის სახე (ჭიჭიონაშია (!) და იმისთვის შეჩერებინოს ბანკის მოქმედება. — მლონდ ნ. ლობაზერიძე მოვიშორეთ თავიდან და მინისტრი მაშინადვე ბანკის მოქმედებას გახსნისო ლაღებდნენ ზოგიერთნი.

წარსულს კრებაზედ ნ. ლობაზერიძემ თითქოს შეასრულა ამთის სურვილი: თავის თანამდებობაზედ უარი ჰყო და მოახსენა საზოგადოებას: ამდენს ხანს მე მიმსახურნია და ეხლა ჩემ მაგიერ (ასე გამოიძლია მისი სიტყვებიდგან) ამოირჩიეთ ჩემზედ უკეთესიო. — მაშინდა ორი კანდიდატი: თავადნი დ. ლადიანი და მ. შალვა, რომელთაგანაც პირველი იქმნა ამორჩეული ნ. ლობაზერიძის მაგიერ. ამით, ჩვენის აზრით, ლობაზერიძის წინააღმდეგების და ბანკის ვითომცა გათავის მსურველების ნატვრა შესრულდა და იმედიც უნდა გეტკონოდა, რომ დღეიდგან ბატ. ლადიანის გაუმჯობესებულსა ჩვენის ბანკის მდგომარეობა საუკეთესოდ შეიცვლებოდა და ცხადად დაინახავდით, თუ რა მანებელი ყოფილა ლობაზერიძე ჩვენის ბანკისათვის.

მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ამის შემდეგ არ გასულა ნახევარი წელიწადი და ეხლავე სანატრელად გავიხინდა ლობაზერიძე და ეხლავე ენდავთ ბანკი თავლ საჩინო უწყსოებათა (თუ შეიძლება ასე ესტეკათ, პეტრუბა-ტისა).

შეიძლება გამოჩნდეს ვინმე მკითხველთაგანი, რომელმაც ამ ჩემ სიტყვებს ურწმუნოს თავლით შეჰხედოს და მიპასუხოს კიდევ — ასე მოკლეს ხანში როგორ შეეძლო, ვინც უნდა ყოფილიყო, თავის ნიჭი გამოეჩინა და ბანკის მდგომარეობა გაუმჯობესებიაო. მართალია, იმის მეც თანახმა ვარ, რომ ასე მოკლეს ხანში ძნელი იყო ბანკის ყველა საქმეების თავის წრეში

ლანტისა და ნიჭის პატრონია, წინ და წინვე მჯერა მთარგმნელის აზრი და სიადელით ვაღვიარებ, რომ „მეფუნის-ტყალ-სანი“ დედანსა და მის თარგმანს შორის დიდი ზღვარი უნდა იყოს. თვით უკეთესი თარგმანი ლექსისა ნაკერის წარმოადგენს მშვენიერად გარეცხილის საუკეთესო ქოვილისას; აქაც იგივე ძაფი და ფერადებია ხმარებული (ე. ი. იგივე სიტყვები); მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამ ძაფთა და ფერადთაგან ყვაილები და მშვენიერად ნაქარგი სახეები შესდგეს, იგინი გვიხატავენ ჩვენ მხოლოდ ულამაზო განაპირა მოხაზულობათა (კონტურებს), — და ისიც მკრთალოდ. მუსიკა ლექსებისა, რომელიც ნაწინასავით მოქმედობს მკითხველზე, სასიამოვნო წარმოდგენებით ართობს და რითმის შემწეობით მიაფრენს ალტაცების მწვერვალებზე, ეს მუსიკა სრულიად ჰქრება და თავის ალღას უთმობს მარტივს, ხშირად ურთიერთის წინააღმდეგს სიტყვებს.

ჩაყენება, მაგრამ გაუმჯობესობამ თქვენნი ჭირი წაიღოს, ნეტავი არ გავლერესებულიყო და. ამასთანავე ექვსათვის განმავლობაში აღვიღოდა შენობა შეეძინეს კაცს, თუ კი მას აღმინისტრაციული ნიჭი მაინც აქვს.


სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენდა აქვე შემიძლია გაჩვენოთ ორი თვალსაჩინო მავალითი, რომლის მზავსი ლობაზერიძის დროს არ შეგვიძინებია და რომელთაც საქროა ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

პირველი: აგერ თითქმის ოთხი თვე გადის რაც ერთი დირექტორთაგანი არის წასული სამეგრელოში „ოტაუსკში“. სწორენ სამსახურში გამოცხადილა, მაგრამ პასუხსაც არ იძლევა და ჯამაგირს კი სრულად იღებს. რას ჰგავს ეს საქციელი სწორედ არ მესმის?! იმის გამო, რომ ამდენს ხანს ეს ბატონი დასეირნობს თავის სამშობლოში, აქ ბანკის საქმეები უნდა შეჩერდეს და თუ არ შეაჩერეს ხომ მისი კანდიდატი უნდა მოიწვიონ, რომელსაც ჯილდო უნდა მიეცეს ბანკში ყოველი ფუნის შემოდგმისათვის. — ნუ თუ ეს ჩვენი ბანკის ზარალი არ არის? ნუ თუ ასე გულ-გრილად უნდა უყუროს ბანკის მმართველობამ ამ გვარ უწყსოებას? ამასთანავე არ დაივიწყოთ, რომ წესდების ძალით დათხოვნა მხოლოდ ორი თვით შეიძლება და არა ოთხის და მეტის თვით.

და მეორე: — უფულობის გამო ამ უკანასკნელ დროში ბანკს ძლიერ ბევრი მამულები რჩება, მაგრამ, ვაი, ამისთანა დაჩინას. თამამად შემიძლია ესტეკა, რომ ამ მამულების დარჩენით ბანკს ჯერ-ჯერობით დიდძალი ზარალი აქვს არა თუ იმიტომ, რომ ამ მამულებს არ შეეძლოს ჯეროვანი სარგებლის შემოტანა და მით ნაწილ-ნაწილ ბანკის ვალის გასტუმრება, არა, — იმიტომ რომ ჩვენი ბანკის მმართველობა ძლიერ გულ-გრილად უყუ-

რთუ მართალია, რომ პოემა მომეტებულს თავის სიმშვენიერეს ჰქარავს, როცა იგი ითარგმნება სხვა ენაზე, მაშ ცხადია, რა ძნელი უნდა იყოს თარგმნა იმ გვარის ნაწარმოებისა, რომელიც დაწერილია სრულიად სხვა დროსა და სხვა ხანში. მთარგმნელმა ამ შემთხვევაში უნდა უარ-ჰყოს ყველა ის იდეანი, რომელიც დაიბადენ პოეტის შემდეგ გასულს საუკუნოებში, არ უნდა იხმაროს სიტყვები, გამომხატველნი ახალის დროის აზრებისა და უნდა ერიდოს ჭრახვების იმ გვარს მიმიხერას, რომელიც შეეფერება მხოლოდ ჩვეულებრივს ჩვენს საუბარს, რომელიც, თუ იგი მიეწერა ძველის დროის ავტორს, უსიამოვნო ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას აწარმოებს კაცზე.

(შემდეგი იქნება)



რებს ამ საქმეს და სრულიად არ იწუხებს თავს იმაზე, რომ გამოიგონოს რამე საშუალება ამ მამულეების მოვლის შესახებ. ერთი მამული არ ღარჩინია ჯერ-ჯერობით ბანკის იმისთანა, რომელსაც არ შეეძლოს ჯეროვანი სარგებლის შემოტანა, მაგრამ არ შემოაქვს იმით, რომ ბანკის მმართველობა, გამოტყუილი უნდა ვსთქვა, უყურებს მათ სხვათა-შორის, (რუსები რომ იტყვიან: меж-ду прочимъ) ესე იგი სთელის მას მესამე ხარისხულ საგნად; მაშინ რომელსაც ამას უნდა ჰქონდეს მიქცეული მკაცრი ყურადღება. რასაკვირველია, რომ ამ გეგმი საქმის მსელოლობით ბანკის მდგომარეობა არასოდეს არ გაუმჯობესდება...

ამისათვის, ჩვენს აზრით, არ იქნება ცუდი, რომ ამ საქმეს მიექცოდეს ჯეროვანი ყურადღება და ბანკის მმართველობა უფრო მკაცრად და სინიღისიერად მოვიღებდეს მას ხელს. თუ თერთონ არ შეუძლია რამე საშუალების გამოგონება — შედამხედველი კომიტეტი დაიხმაროს, ან და არა-ჩვეულებრივი ყრება მოახდინოს.

მხლა ამით ვათავებ, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, შემოსილიან ვიდევ დავასახელო, თუ როგორ უთავ-ბოლოდ მართავს ბანკის მმართველობა ბანკზე ღარჩინილ მამულებს, შემო-ტლიან, აშკარად ვაწერო ბანკის მმარ-თველობის სისუსტე შესახებ ამ საქ-მისა.

ცვლევრამები

ნოემბრის 27-ს. კრებულს.

პეტარბურგი. გზ: „მინუტას“ გვალად ნება მიეცა ცალკე ნომ-რების ყიდვისა.

მოსკოვი. სკოპინის მცხოვრებ-ნი ჰქოწმობენ, რომ რიგავს შეერ-ყეველი ძალა ჰქონდა და ქალა-ქის თვით-მმართველობა-კი უღო-ნო იყო. რიგავის ბრძანებით ირჩეოდენ წევრნი ამ მმართველო-ბისა; დაბეჭდებას რიგავი ძვი-რად უსვამდა თვის მოწინააღმდე-გეთა.

პენა. ძლიერმა გრიგალმა დი-დი ზარალი მოახდინა ვენასა და მისს მიდამოში. სამი კაცი დას-სახინრა ამ გრიგალმა, ადგილი-დამ დასირა და სახლების გმდ-ლებს მიაჯახა. ერთი რკინის გზის მატარებელს მოსწევითა თონი ვა-გონი და ლიანდაგიდამ გადაჰყარა. ამ შემთხვევის დროს დაგოდილ იქმნენ კონდექტორი და სამი პა-საჟირი.

ვანცხადებანი

შეორილის თხოვნით მიემართავ ბ.ბ. ქველ-მოამქმელთ შეძლებისა დაგვა-რად აღმოუჩინონ შემწეობა „თელა-ვის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ-მოწუთთა დამხმარებელს საზოგადოე-ბას.“ შემოწირული ფული და ნიე-თები ვითხოვ ვაგზაფერი იქმნას ქ. თელავს, საზოგადოების სამმართველო-ში.

თავმჯდომარე ვ. ს. ალიქსეევ-შესხიევი. (3—1)

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემგან შედგენილის და ამოკრილის ასოების გადახატვა და ხელ-მეორედ ამოკრა აღიკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერს დაკმაყოფი-ლებას მოვითხოვ.

(3—1) გრიგოლ ტატიშვილი—ჭიგარო.

ამ თვის 18-დამ „წერა-ბითხვის საზოგადოების“

პანკალიარია.

ბადატანილი იქმნა ძველის საღო-მიდამ პუკიაში, მინაილოვის ქუჩაზედ; ბიორგი მართველი შვილის სახლებში.

(3—3)

მ. მოკვი.

დავიწყე ღვიღებან საქმის წარმოე-ბა. ქველა მსურველთ გაუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყუს, საქო-ნელს და მატყლს. შეუიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიე-ბით, აგრეთვე გამოუწერო როგორც რუსეთიდან, ისრე სამზღვარ გარეთი-დამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში 20% წინ მიღებით ბეთ გასავზავნად ჭაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარე-ბის დროს. პილებთ იჯარით სა-ხლების საშხატელოს (სამალიარო) საქ-მეს და შალერების გაცვრას ბორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სა-დაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუელის ერთ ვერსამდინ ბაქოდაწ შოთამდე და ბათუმამდე.

ინარის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წერილადაც ზეთით გალესილ კრა-კებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მონარმულ ზეთს და მშრალი კრას-კებისას. შასები წერილებთაც შეიძ-ლება ვაცნობო მუშტარს.

ამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ — თითო კაპ. და ზე-მოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივი-ღებ და ვაგზაფერი ყოველგან საქონ-ლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეი-კის. ამისით ფულიან პაკეტებს, წიგ-ნებს ტელეგრაფას, განცხადებას მივიღებ და ვაგზაფერი კუთვნილებისადმი უკა-მისიოდ; ჭირნახულებისთვის და სამა-ღარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, შრანგე-ბის ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ ღიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

დალა იუთაჟევი. (12—5)

ასლად გახსნილი საწეობი

პურის სპირტის

დაწმენდილი არაუისა

კანტორა ვლადკავკასის სვიატო-ტროიცის არაუისა ქარხნისა შთამოავლობითი საპატო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის შორამოშისა და დავით ადამის ძის სა-რაჯოშისა ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სახარდო საწე-ობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაუისა ქ. თბილისში, თა-მამშოვის ქარავსაში, ერკენის მოვანზედ, ალელავის კანტორის გვერდით.

საწეობში არის პრაგალკარი პურის სპირტი: კოჭენისა, ლავისა, ლი-კორისა და ახლოეუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაუისა: დაწმენდილი, სასუფ-რო, დასტილატი და სამეფო არაუი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენ-დილი არაუი ამ საწეობისა ისეიდება თვით დამოშო, დ. სარაჯოშის დიდს ახალს სახლში და უოკელ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭელია ერთ-გედროხანა, 1/2 კედროხანი, 1/10, 1/16, 1/20, და 1/40-კედროხანი, ეტაჟეტით და საწეობას ბუჭლით. მარკა: „Владикавказский Свято-Троицкий вино-курный заводъ изъ Тифлискаго оптоваго скла-да“. ამავე ადგილებში გაიყიება სპირტი და არაუისა წერილ-წერილად 3 კედ-რომდე 1, 1/2, და 1/4-კედროხანი ჭურჭლით საწეობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაუისს საწეო-ბა თითონ ჩაბარებს შემოკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს — გარეშელთ უნდა თვიანთი მოთხოვნილება შედეგის ადრესით გა-მოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджова, на Эриванской площа-ди, №1. (15—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1885 годъ на ежедневную литературно-политическую газету

„НОВОЕ ВРЕМЯ“

издаваемую въ Тифлисъ (II годъ изданія).

Программа газеты общая всемъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ, съ возможно широкимъ развитіемъ мѣст-наго отдѣла.

Подписная цѣна съ доставкою и пересылкою въ Россіи: на годъ 10 руб., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп., на одинъ мѣсяць 1 руб. 50 коп.

Подписка принимается: въ Тифлисъ въ конторѣ редакціи при Газетномъ Агентствѣ В. Шавердова, въ С.-Петербургѣ въ книж-номъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣ-нія“, при газетномъ Агентствѣ В. Шавердова.

5—2. Редакторъ-издатель А. В. Степановъ.

საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზე ერთად ერთი საგებტო ინგლისის მალაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა კარი კალ-მები უოკელის სხელისათვისა — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანკერტები, რეკულები, ლაქი, კანანდაში, პენალი, კალმები, ბუმაყნი-კები, ზოტრ-სივარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სან-თელი, სალესი, ცანაშკები ჭურჭლის საწმედად (ბოჩკასი) თეთრეული-სათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, გლიონგები, ტახტები, სავარძლები, სარკე-ები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბანოკლები რეუეტკები, გატერპასები, მზის-სათები, გოზასები, ტერმომეტრები, ძეწკები, ნემსები, მაგნიტები, სვის-ტოკი, შომონი, ქამრები, სატყელები, პრობკები, სამრობკები, კრანები, ფილ-ტრები, შნოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტისანი მაგისტრაშები, კრავები, საკემო ქაღალდი გატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—23)